N 424 2015 წლის 12 აგვისტო ქ. თბილისი

„სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2014, 280120000.10.003.018378) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილების პირველი მუხლის პირველი პუნქტით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის“ მე-15 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ეკვივალენტურობის კოეფიციენტები მოცემულია №3 ცხრილში:

ცხრილი №3

		სქესობრივ-ასაკობრივი ჯგუფი											
№	კატეგორია	0-3	4-6	7-12	13-17	18-29 კაცი	18-29 ქალი	30-39 კაცი	30-39 ქალი	40-59 კაცი	40-59 ქალი	60+ კაცი	60+ ქალი
1	ჯანმრთელი	1,24	1,16	1,04	1,21	1,04	0,93	1,00	0,92	1,04	0,95	1,13	1,04
2	შშმ ბავშვი	1,58	1,59	1,50	1,70	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00	0,00
3	მკვეთრად გამოხატული შშმპ (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი) (I ჯგუფი)	0	0	0	0	1,64	1,50	1,60	1,50	1,56	1,50	1,50	1,50
4	მნიშვნელოვნად გამოხატული შშმპ (II ჯგუფი)	0	0	0	0	1,56	1,41	1,51	1,41	1,47	1,41	1,41	1,41
5	მარტოხელა პენსიონერი/ სოციალური პაკეტის მიმღები	0	0	0	0	1.99	1.76	1.94	1.74	1.88	1.71	1.8	1.8
6	ფეხმძიმე ქალი	0	0	0	1,32	0	1,11	0	1,11	0	1,11	0	0
7	მეძუძური დედა	0	0	0	1,21	0	1,08	0	1,09	0	1,13	0	0
8	მარტოხელა დედა	0	0	0	1,44	0	1,14	0	1,14	0	1,14	0	0
9	ობოლი (დედ-მამით)	1,37	1,2	1,04	1,21	0	0	0	0	0	0	0	0
10	პირი, რომელიც სიცოცხლისათვის საშიში დაავადების სამკურნალოდ საჭიროებს პერმანენტულ მედიკამენტოზურ/ ამბულატორიულ მკურნალობას	1,65	1,58	1,46	1,68	1,58	1,42	1,53	1,40	1,49	1,38	1,43	1,38“.

მუხლი 2. ამ დადგენილების პირველ მუხლთან მიმართებით გამოყენებულ იქნეს „სოციალურად დაუცველი ოჯახების (შინამეურნეობების) სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის შეფასების მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 31 დეკემბრის №758 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 ივლისის №380 დადგენილების მე-2 მუხლით განსაზღვრული დებულებები.

მუხლი 3. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**